ივნისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ავსტრიის რეპუბლიკის ქალაქ გრაცში დიასპორული ორგანიზაცია და ქართული საკვირაო სკოლა დაარსდა

1 ივნისს, ავსტრიის რესპუბლიკაში, ქ. გრაცში მცხოვრები თანამემამულის ზვიად ხურციძის ინიციატივით ქართული დიასპორული ორგანიზაცია - „შტირიის მხარეში ქართული კულტურისა და ისტორიის კავშირი“ და საკვირაო სკოლა დაარსდა.
დიასპორული ორგანიზაციის დაარსებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით დონდუა, რომელმაც სტუმრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესში დიასპორის ჩართვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში დიასპორის საკითხების პრიორიტეტულობას და ისაუბრა იმ ინიციატივებზე, რაც უწყებას გააჩნია საზღვარგარეთ ქართული დიასპორის გასაძლიერებლად და სამშობლოსთან მათი კავშირის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ელჩმა ქართულ საკვირაო სკოლას, რომელსაც უხელმძღვანელებს რუსუდან ზაზაშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელობი გადასცა.
ღონისძიებების ფარგლებში, გრაცის საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გამართეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. ვენაში მოღვაწე ქართველი ხელოვანის, თეონა მოსიას საბავშვო სამუსიკო სტუდიის - „რიმტირი ჯაზი“ აღსაზრდელებმა.

DANKSCHREIBEN

erteilt dem Gründer und Leiter des Vereins der georgischen Kultur und Geschichte in Steiermark, Republik Österreich

Herrn Zviad KHURTSIDZE

für seinen außerordentlichen Beitrag zur Bekanntmachung und Popularisierung von Georgien

S.E. Botschafter Prof. David DONDUA
Die Botschaft von Georgien in der Republik Österreich, ständige Vertretung von Georgien bei der OSZE und anderen Internationalen Organisationen in Wien

ღონისძიებაზე საქართველოს ელჩმა დავით დონდუამ დიასპორული ორგანიზაციის დამაარსებელს, ბიზნესმენს, ზვიად ხურციძეს ავსტრიაში საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადასცა.
ზვიად ხურციძე მრავალი წელია საქმიანობს ქ. გრაცში. მისი ინიციატივითა და თაოსნობით არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომელიც ემსახურება საქართველოს ტურისტული პოტენციალის, ქართული კულტურის, ღვინისა და კულინარიული ტრადიციების პოპულარიზაციას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გრაცის მუნიციპალიტეტის და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წევრები და საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

ათენში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

1 ივნისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნულმა თეატრალურ-კულტურულმა ორგანიზაციამ ,,დიონისემ'' ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა. ღონისძიებაზე თანამემამულე მოზარდებმა წაიკითხეს ქართული ლექსები, შეასრულეს ქართული სიმღერები და ცეკვები.

2 ივნისს, „დიონისემ" მორიგი კონცერტი გამართა ათენში მცხოვრები ქართველი და ბერძენი მსმენელისთვის. „დიონისეს" მოსწავლეები მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სიმღერებით ქართული და ბერძნული კინო-ფილმებიდან.

ჟენევაში არსებულ საკვირაო სკოლას სახელმძღვანელოები გადაეცა

1 ივნისს, ჟენევაში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ვიქტორ დოლიძემ ქართული საკვირაო სკოლაში შეხვედრა გამართა და საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოები გადასცა. ვიქტორ დოლიძე ბავშვებს ჟენევაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობასა და ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის საკვირაო სკოლების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

რიგაში ლატვიაში მოღვაწე ქართველი მოქანდაკის და მხატვრის, გოჩა ხუსკივაძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა

1 ივნისს, ქ. რიგაში, ელკორის სუვენირების მაღაზიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ლატვიაში მოღვაწე ქართველი მოქანდაკისა და მხატვრის, გოჩა ხუსკივაძის თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, რომელიც 15 ივნისამდე გაგრძელდა.

გოჩა ხუსკივაძე 1994 წლიდან მოღვაწეობს ქ. რიგაში და მრავალ გამოფენაში აქვს მიღებული მონაწილეობა მსოფლიო მასშტაბით. გარდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა, იგი ლატვიაში საქართველოს საელჩოსთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სადაც თანამემამულე მოზარდებს ხატვას ასწავლის. მისმა აღსაზრდელებმა უკვე საქართველოში გამართულ გამოფენებშიც მიიღეს მონაწილეობა.

ქართული შემოქმედებითი საღამოები ისრაელში

2 ივნისს, ქ. აშდოდის მუნიციპალიტეტში, ქალაქის ვიცე-მერმა მოშე ბოთერაშვილმა ისრაელი-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „გულთა კავშირის“ თაოსნობით, ისრაელში მიწვეულ, ცნობილ ქართველ მწერლებს, მაყვალა გონაშვილსა და ნოდარ კობერიძეს უმასპინძლა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მოშე ბოთერაშვილმა, ქართველმა ებრაელმა აბრაამ საპირმა, საქართველოს საელჩოს მრჩეველმა მანანა დუმბაძემ, ისრაელის ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაციის „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ ხელძღვანელმა მარინა გელაშვილმა, „გულთა კავშირის“ პირველმა დამაარსებლებმა და ქართველ ებრაელთა თემის წევრებმა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ისრაელის ხალხს და პირადად მოშე ბოთერაშვილს მასპინძლობისთვის. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სახელით, მაყვალა გონაშვილმა თანამედროვე ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის „გულთა კავშირს“ და „ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრს“, ასევე, ქართველ ებრაელთა თემის რამდენიმე წარმომადგენელს მწერალთა კავშირის ღირსების დიპლომები და სიგელები გადასცა. მაყვალა გონაშვილმა მწერალთა კავშირის ჯილდო „თამარიონის ენდალმა“ შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალთა კავშირის წევრსა და ისრაელში საქართველოს საელჩოს მრჩეველს მანანა დუმბაძეს გადასცა.

ისრაელში ვიზიტის ფარგლებში 4, ივნისს, ქ. ბათ-იამში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ, პოეტმა მაყვალა გონაშვილმა საქმიანი შეხვედრა გამართა ისრაელურ გამომცემლობა „ბახურ ბუქსის“ ხელმძღვანელებთან, საქართველოზე სამი საავტორო წიგნის ავტორებთან იტაი ბახურთან და ხედვა როკახთან. 2018 წლის ბოლოს გამომცემლობა „ბახურ ბუქსმა" ებრაისტიკის დოქტორის, მამუკა ბუცხრიკიძის მიერ ივრითზე თარგმნილი, ვაჟა ფშაველას პოემა "ალუდა ქეთელაურის" ორენოვანი (ქართულ-ებრაული) წიგნი გამოსცა, 2019 წლის ბოლოსთვის კი, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ვაჟა ფშაველას და ეკატერინე გაბაშვილის ნოველების ორენოვანი პროზაული კრებულის გამოცემას გეგმავს. მაყვალა გონაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით შეხვედრის მონაწილეები ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში გაწეული წვლილისთვის კულტურის დესპანის წოდებითა და დიპლომით დააჯილდოვა. მხარეებმა შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის გეგმებიც დასახეს და კონკრეტულ პროექტებზეც ისაუბრეს.

იმავე დღეს, ისრაელის ქ. ბათ-იამის „ეშკოლ პაისის“ სააქტო დარბაზში, ისრაელურმა ქალთა ორგანიზაციამ „ბათ ამი“-მ შემოქმედებითი საღამო გაუმართა მაყვალა გონაშვილს. შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველ ებრაელთა თემის ხელოვანების, მეცნიერების და კულტურის წარმომადგენლები. საღამო მიჰყავდათ პოეტ ნუგზარ ჯანაშვილს და „ბათ ამის“ ხელმძღვანელს ლია კრიხელს. მაყვალა გონაშვილმა დამშვიდობებისას მისი რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

ათენს ხევსურეთში მოღვაწე პოეტი ლელა გაბურია ეწვია

2 ივნისს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის - „კავკასია“ მოწვევით ქ. ათენს ხევსურეთში მოღვაწე ცნობილი ექიმი, პოეტი და საბავშვო მწერალი ლელა გაბურია ესტუმრა.

განათლებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა შემოქმედებითი შეხვედრა ათენის ქართულ დიასპორასთან. ავტორმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ორი ახალი წიგნი: პოეტური კრებული „აი, იმ გზამდი“ / Voila, jusqu "a c'est chemin" (ქართულ-ფრანგული გამოცემა) და საბავშვო პროზაული ნაწარმოები - „ჩიკო და ქობულოელი ბავშვები“.

ათენში ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციაში სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა

2 ივნისს, ქ. ათენში, ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციაში, სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა. პირველი კლასის მოსწავლეებმა დაასრულეს დედაენისა და ქართული ანბანის შესწავლა. ღონისძიებაზე, ათენში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოწვეულ სტუმრებს სკოლის აღსაზრდელებმა ლექსი წაუკითხეს, წარმოადგინეს ინსცენირებები საბავშვო მოთხრობებიდან. მუსიკალურად ღონისძიება გააფორმეს სტუდია „ნერგებმა" და ასოციაციასთან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა.

ღონისძიების დასასრულს, ბერძნულ-ქართული ასოციაციის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელმა თამარ აფციაურმა მოსწავლეებს პირველი კლასის დასრულება მიულოცა და პატარებს სამახსოვრო ალბომი „ჩემი პირველი მასწავლებელი“ გადასცა.

ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსების 2018-2019 სასწავლო წლის შემაჯამებელი შეხვედრა ვილნიუსში

3 ივნისს, ლიეტუვას რესპუბლიკის ვილნიუსის უნივერსიტეტში ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსების 2018-2019 სასწავლო წლის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებში ლიეტუველ სტუდენტებს ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებულ ლიეტუველ სტუდენტებს სასწავლო წლის დასრულება მიულოცეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლიეტუვას რესპუბლიკაში, ლევან ღვაჩლიანმა და ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, ინესა შეშკაუსკიენემ.

თბილისში ფრანგი ფოტოხელოვანის ორელიენ ვილეტისა და არტპროდიუსერ დალი უბილავა-დე გრააფის ერთობლივი ფოტოალბომის „ტფილისი-თბილისი“ წარდგენა გაიმართა

4 ივნისს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ დარბაზში, ფრანგი ფოტოხელოვანის, ორელიენ ვილეტისა და ნიდერლანდების სამეფოში მოღვაწე თანამემამულის, არტპროდიუსერ დალი უბილავა-დე გრააფის ერთობლივი ფოტოალბომის - „ტფილისი-თბილისი“ წარდგენა გაიმართა.

„ტფილისი-თბილისი“ არის ფოტოალბომი, რომელიც ძველ თბილისში გამოგზაურებთ და თანამედროვე და ძველი არქიტექტურის ერთმანეთთან შედარების საშუალებას მოგცემთ.

თბილისის ფოტოამბის ავტორი, ორელიენ ვილეტი გამოცდილი ფოტოგრაფია, რომელმაც უკვე 40-მდე ქვეყანა მოინახულა და მათი ისტორია გადაიღო. მისი თქმით, ფოტოალბომზე „ტფილისი-თბილისი“ მუშაობისას, უნდოდა წარმოეჩინა ის ადგილები, რომლებიც თითქმის აღარ არსებობს და ასევე, ის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც დროის მსვლელობასთან ერთად, უბრალოდ გაქრა“.

ქართველი არტპროდიუსერი, დალი უბილავა-დე გრააფი, რომელიც ნიდერლანდებში, ქალაქ ლეიდენში ცხოვრობს, ათი წელია ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებულ ფონდ „არტექოს“, რომლის მთავარი საქმიანობა კულტურისა და ხელოვნების სფეროში პროექტების განხორციელებაა. მისი, როგორც არტპროდიუსერის პორტფოლიო მოიცავს ჰოლანდიასა და საქართველოში გამართულ ფესტივალებს, კონცერტებს; ფერწერული, თანამედროვე ხელოვნების ნიმუშევრებისა და ფოტო გამოფენებს, ჰოლანდიური ანიმაციური ფილმებისა და ქართული კინოკლასიკის ჩვენებებს და ა.შ.

პროექტი თბილისის მერიის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის პარტნიორობით განხორციელდა, ხოლო ფოტოალბომის წარდგენა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს ფრანგული კულტურის ინსტიტუტისა და ღვინის კომპანია „შილდას“ მხარდაჭერით განხორციელდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ავსტრიაში

4 ივნისს, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიღებას. ღონისძიება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნებით გაიხსნა, რომელიც ავსტრიაში მოღვაწე ქართველმა ხელოვანებმა, პიანისტმა ქეთევან სეფაშვილმა და სოპრანომ, მადინა კარბელმა შეასრულეს. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით დონდუამ და ავსტრიის რესპუბლიკის ევროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორმა კატარინა ვიზერმა. მათ ყურადღება გაამახვილეს საქართველოსა და ავსტრიის ისტორიულ,

პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებზე, ხაზი გაუსვეს დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობების დადებით დინამიკასა და არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ავსტრიაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესის, კულტურის, აკადემიური წრეების, მედიისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

რომში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ქართული დიასპორული ორგანიზაციებისთვის სასწავლო კურსი ჩატარდა

4-9 ივნისს, ქ. რომში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, გაიმართა ოთხდღიანი სასწავლო ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდას, ტრანსნაციონალური ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტების განსახორციელებლად.

აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს 13 ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა და წევრებმა 6 ქვეყნიდან: იტალია - ეკატერინე კაჭარავა, ქ. რომის კულტურული ასოციაცია „რომის ქართული დიასპორის“ ხელმძღვანელი და მოადგილე სალომე რუხაძე; მანანა მემანიშვილი, ქ. ბარის ასოციაცია „რადიჩის" (ფესვები) თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი; ნინა რურუა, ქ. ბარის ასოციაცია A.I.S. და სერვის-მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი; ქეთევან ლომთათიძე, ქ. კალიარის კულტურული ასოციაციის -„იტალია- საქართველო „კოლხეთი“ ხელმძღვანელი; ესპანეთი - ნანა ფურცელაძე, ქართული კულტურის ცენტრის "EuroGeorgia Barcelona" ხელმძღვანელი; ნანა მსხილაძე, ბარსელონის წმინდა გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ასოციაციის წევრი; მანანა გოგოლაძე, ქ. ალიკანტეს ასოციაცია ,,საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტების’’ ხელმძღვანელი; გერმანია - პავლე შპეტიშვილი, ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელი; ქეთევან ბორუფკა, ნიურნბერგის ქართული კულტურის ცენტრ „INKO“-ს ხელმძღვანელი; თინათინ ჩითინაშვილი, გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილე; საფრანგეთი - ეკა ბოდოკია, ქართველთა კულტურის კერა - ,,ლაზის’’ ხელმძღვანელი; ესტონეთი - ალექსანდრე ჩანადირი, ორგანიზაცია „ქართული სახლის" წევრი და საბერძნეთი - ხატია ქარსაულიძე, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ხელმძღვანელი.

სასწავლო კურსს ესწრებოდნენ დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი რატი ბრეგაძე, თანამემამულეებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ალიონა ჩხოტუა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (IOM) - გაეროს მიგრაციის სააგენტოს, საქართველოს მისიის ადგილობრივი პროგრამების მენეჯერი ნათია კვიციანი და ორგანიზაციის ტექნიკური მრჩეველი, ციური

სასწავლო კურსის გახსნას დაესწრო და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიის რესპუბლიკაში, კონსტანტინე სურგულაძემ.

ტრენინგის ბოლო დღეს რატი ბრეგაძემ მონაწილეებს გააცნო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან მიმართებით დაგეგმილი პროექტები, ასევე, ვრცლად ისაუბრა დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამისა და დიასპორული ვებ-პორტალის www.gda.ge ამოქმედების თაობაზე.

ვიზიტის ფარგლებში, 7 ივნისს, რატი ბრეგაძე ეწვია რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლოსთან არსებულ საკვირაო სკოლას და მოსწავლეებს სამინისტროს მიერ „საკვირაო სკოლის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები გადასცა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება კანბერაში

6 ივნისს, კანბერის „თანამეგობრობის კლუბში“, ავსტრალიის თანამეგობრობაში საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გამართა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ ავსტრალიის სახელმწიფო სტრუქტურების, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მას-მედიის, აკადემიური და ბიზნეს წრეების, ქ. კანბერაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და ქართველი თანამემამულეები.

სტუმრებს სიტყვით საქართველოს ელჩმა გიორგი დოლიძემ მიმართა, რომელმაც ისაუბრა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების მნიშვნელობაზე. მან საქართველო-ავსტრალიის მჭიდრო ურთიერთობები მიმოიხილა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში და მადლობა გადაუხადა ავსტრალიურ მხარეს საქართველოს მხარდაჭერისთვის.

ღონისძიება ქართული მრავალხმიანი სიმღერების ფონზე მიმდინარეობდა. ქართული ხალხური სიმღერები ქ. კანბერის ავსტრალიელებისგან შემდგარმა ფოლკლორულმა გუნდმა - “Worldly Goods” შეასრულა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს და ორგანიზაცია StartupGRIND Georgia-ს წარმომადგენლების შეხვედრა დიასპორასთან ლონდონში

6 ივნისს, ქართულ დიასპორასთან დიალოგის ფარგლებში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა ღონისძიებას, სადაც დიასპორის წარმომადგენლები გაეცნენ სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში არსებულ პროგრამებსა და სიახლეებს.

სტუმრების წინაშე პრეზენტაციით წარსდგნენ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს და ორგანიზაციის StartupGRIND Georgia წარმომადგენლები, რომლებმაც სტუმრებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და 2019 წლის 8-10 ნოემბერს თბილისში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე StartupGRIND Connect Eurasia მიიწვიეს. StartupGRIND Europe ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სტარტაპ გაერთიანებაა, რომელიც 125-ზე მეტი ქვეყნიდან 2 მილიონ ენტრეპრენერს აერთიანებს. 2018 წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში. წელს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ ქართული კუთხე ღონისძიების მთავარ საგამოფენო სივრცეში წარმოადგინა, სადაც სააგენტოს წარმომადგენლებმა ქვეყანაში არსებული სტარტაპ გარემო, ხელშემწყობი მექანიზმები და პროგრამები გააცნო დამთვალიერებელს.

ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი ვიტორიაში

6 ივნისს, ესპანეთის ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიის ადმინისტარციული ცენტრის მიერ მოწყობილ კონცერტზე მიწვეული იყო ვიტორიის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლოსთან არსებული ხალხური საკრავების შემსწავლელი სკოლა. ეს იყო სკოლის მოსწავლეების პირველი საჯარო გამოსვლა.

პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულების შეხვედრა სტუდენტებთან თბილისში

6 ივნისს, ქ. თბილისში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებული გაერთიანებულ სამეფოში სოფო ქევხიშვილი და ამავე პროექტის გამარჯვებული ესპანეთის სამეფოში თამარ არველაძე, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიას ესტუმრნენ. მათ სტუდენტებს პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" წარუდგინეს და გაერთიანებული სამეფოსა და ესპანეთის საგანმანათლებო საკითხებზე ისაუბრეს.

დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი მიღება მადრიდში

6 ივნისს, ქ. მადრიდში, საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიღება გამართა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა ილია გიორგაძემ და ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სუბდირექტორატის დირექტორმა, ხორხე ურბიოლამ. საქართველოს ელჩმა და ესპანეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა

თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე.

საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ მიღებას დაესწრო 300-მდე სტუმარი, მათ შორის ესპანეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელის ხელისუფლების, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესწრეების, კულტურის სფეროსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ღონისძიებაზე სტუმრების წინაშე წარსდგა ქართული ფოლკლორული მუსიკის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“, ასევე, მოეწყო ქართული ეროვნული სამოსის გამოფენა.

ქართველმა სტიპენდიანტებმა გერმანიის ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის ფარგლებში ორგანიზებულ მიღებაზე ქართული სტენდი წარმოადგინეს

6 ივნისს, ბერლინში ქართველმა სტიპენდიანტებმა გერმანიის ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის (IPS) ფარგლებში ორგანიზებულ მიღებაზე ქართული სტენდი წარადგინეს.
ღონისძიებას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ელგუჯა ხოკრიშვილი დაესწრო.
საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამას გერმანიის ბუნდესტაგი 1986 წლიდან მსოფლიოს 44 ქვეყანასთან თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს. პროგრამის მირითადი მიზნებია გერმანიას და მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.
მიღების ფარგლებში ისევე როგორც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა გერმანიაში საქართველოს საელჩოს და გერმანიის ბუნდესტაგის ხელშეწყობით მოამზადეს ქართული სტენდი, რომელზეც ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს საქართველოზე ინფორმაციის მიღების გარდა, ქართული ღვინოების და კერძების დაგემოვნების შესაძლებლობა ჰქონდათ.

სამშობლოს წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის აღიარებისადმი მიძღვნილი ღონისძიება ლონდონში

7 ივნისს, ქ. ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და ქართული სათვისტომოს თანამონაწილეობით, საელჩომ უმასპინძლა პროექტის - „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“ გამარჯვებულებს, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელსა და დირექტორს, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანსა და ძიუდოს კლუბის - „ფალავანი“ დამფუძნებელს, ლევან გოგინაშვილს.
აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი დაჯილდოვდა საქველმოქმედო საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის, ხოლო ლევან გოგინაშვილი - ქართული სპორტის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) ფარგლებში განახორციელა.
საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გაერთიანებულ სამეფოში, თამარ ბერუჩაშვილმა. ელჩმა ხაზი გაუსვა დიასპორის განსაკუთრებულ როლს ქართული ენის, კულტურის, სპორტისა და ტრადიციების დაცვასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის საქმეში. საქართველოს ელჩმა ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანსა და ლევან გოგინაშვილს გადასცა ეროვნულ თემატიკაზე შექმნილი სიმბოლური საჩუქრები.

სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება ქ. ათენის 50-ე საჯარო სკოლაში

7 ივნისს, ქ. ათენში, 50-ე საჯარო სკოლაში ქართული ენის შემსწავლელმა ჯგუფებმა სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართეს.
ღონისძიებაზე ქართველმა მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართული ცეკვები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს მრჩეველი გიორგი შოშიტაშვილი, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებული საბერძნეთის რესპუბლიკაში, ლიკა ჯანელიძე და სკოლის დირექტორი ევანგელოს მოკოს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის ვიზიტი ოდესაში

7-8 ივნისს ქ. ოდესას სამუშაო ვიზიტით ესტუმრა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაცია გენერალური დირექტორის, პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის გიორგი კეკელიძის ხელმძღვანელობით.
ვიზიტის ფარგლებში ქ. ოდესაში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები. ვიზიტის მიზანი გახლდათ გიორგი კეკელიძის და დელეგაციის წევრების მონაწილეობა „Інтелект-форум-2019"-ში და რიგით XX, სრულიად უკრაინული გამოფენა-ფორუმ „Українська книга на Одещині"-ში, რომელიც გაიმართა ოდესის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ქ. ოდესაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, ოდესის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ირინა ბირიუკოვამ და უკრაინის კულტურის მინისტრის მოადგილემ იური რიბაჩუკმა, ქ. ოდესის ქართული საკვირაო სკოლის „ანა-ბანა“ ხელმძღვანელმა, მეგი ლაშხიამ.
ღონისძიების მსვლელობისას სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ უნიკალური ნივთები კერძო კოლექციიდან, რომლებიც პირველად იქნა ჩამოტანილი საქართველოდან უკრაინაში. ასევე, მოისმინეს პოემის „ვეფხისტყაოსანი" ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ივერია”-სთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის „ანა-ბანა“-ს მოსწავლეების შესრულებით (ქართულ ენაზე და პ. პეტრენკოს თარგმანი).
ვიზიტის ფარგლებში, 8 ივნისს ქ. ოდესაში საქართველოს კონსული თორნიკე ბერეკაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის წევრებთან ერთად, გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის ხელმძღვანელობით ეწვია „SHABO Wine Culture Center“-ს. შეხვედრისას მიღწეული იქნა შეთანხმება პარტნიორობის შესახებ კომპანია „SHABO“-სა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ ყურძნისა და ღვინის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის.

ისრაელში საკვირაო სკოლამ პირველი გამოსაშვები ზეიმი გამართა

8 ივნისს, ქ. ლოდის „ქართულ სახლში“ დიასპორული ორგანიზაცია „მამულის“ და საქართველოს საელჩოს მიერ ისრაელში ქართულ საკვირაო სკოლაში, პირველი გამოსაშვები ზეიმი გაიმართა.
დაარსების დღიდან სკოლას, ისრაელში საქართველოს საელჩოსთან ერთად, აქტიურ მხარდაჭერას უწევენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ადგილობრივი საპატიო კონსულები.
ღონისძიებაზე საკვირაო სკოლასთან არსებულმა სიმღერის გუნდმა დამსწრე საზოგადოებასთან ერთად შეასრულა საქართველოსა და ისრაელის ჰიმნები.

ქართველი და ებრაელი ბავშვები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ანბანის ასო-ბგერებზე შედგენილი პოეტური სტრიქონების დეკლამირებაში, ქართული საბავშვო, ხალხური და პატრიოტული სიმღერების შესრულებაში. ზეიმის ბოლოს, პედაგოგებმა სკოლის აღსაზრდელებს წარჩინების სიგელები გადასცეს. საკვირაო სკოლის მასწავლებლებმა სკოლის სამხატვრო ხელმძღვანელის, ნანა ბერაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მცირე ინსცენირება წარუდგინეს.

საკონცერტო ნაწილის დასრულების შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა ისრაელში პაატა კალანდაძემ და, ასევე, საპატიო სტუმრად მიწვეულმა პოეტმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, რომელმაც დიასპორული ორგანიზაცია „მამულის“ დამაარსებელს ირაკლი კილაძეს, მწერალთა კავშირის სახელით კულტურის ამაგდარის დიპლომი გადასცა.

სტრასბურგში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

8 ივნისს, ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში, სტრასბურგში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენელთათვის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო მიღება გაიმართა.
დიასპორის წარმომადგენლებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი გივიაშვილმა.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა წარმომადგენლობასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეების, სტრასბურგის წმინდა ქეთევან წამებულის ბავშვთა გუნდის „სადარისი" და საბავშვო მუსიკალური სტუდია „მთიების“ კონცერტი.

პარიზის ,,ღია კარის'' დღე

8 ივნისს, ქ. პარიზის მე-18 რაიონის სპორტისა და კულტურის ცენტრის დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით ღია კარის დღე გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში სხვა ქვეყნის დიასპორულ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო პარიზში არსებულმა ქართული კულტურის კერამ - „ლაზი".
ღონისძიებაზე ქართული სიმღერით და ქართული ცეკვით წარსდგა ,,ლაზთან" არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი.

თბილისში ნიდერლანდების სამეფოში მოღვაწე ქართველი მწერლის, არჩილ ჯავახაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა



8 ივნისს, ქ. თბილისში, მულტიფუნქციურ საგანმანათლებლო სივრცეში „სტამბის წიგნები" ნიდერლანდების სამეფოში მოღვაწე ქართველი მწერლისა და მთარგმნელის, არჩილ ჯავახაძის ახალი წიგნის - „ნიდერლანდების სამეფოს პრინცი ბერნარდი" პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც გამომცემლობა „აზრმა" გამოსცა.
ნიდერლანდების სამეფოს პრინცი ბერნარდი გახლდათ ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობა მე-20 საუკუნის თითქმის ყველა ცნობილ პიროვნებასთან და რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო პოლიტიკაში, აგრეთვე ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში და ბუნების დაცვის საქმეში. წიგნში მკითხველი გაეცნობა პრინც ბერნარდის ახლო ურთიერთობას კავალერიის პოლკოვნიკ ალექსი ფანჩულიძესთან, რომელიც იყო მისი აღმზრდელი, მრჩეველი და მთელი ცხოვრების თანამგზავრი. წიგნში თხრობა დაფუძნებულია დოკუმენტურ მასალებზე.

წიგნის ავტორი - არჩილ ჯავახაძე ერთ-ერთი ის ქართველი გახლავთ, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ჰოლანდიაში ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციაში. მან გამოსცა პირველი ქართულ-ნიდერლანდური და ნიდერლანდურ-ქართული ლექსიკონი, არჩილ ჯავახაძეს თარგმნილი და გამოცემული აქვს ნიკოლას ვიტსენის ისტორიული ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის, ქართველთა ყოფის, კულტურის შესახებ, ანტიკური პერიოდიდან მე-17 საუკუნის ჩათვლით.
წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მრჩეველი გიორგი მერაბიშვილი.

ათენის ,,ქართულ სახლს'' საემიგრაციო სამსახურის ჯგუფი ესტუმრა

9 ივნისს, ქ. ათენის ,,ქართულ სახლს'' საემიგრაციო სამსახურის ჯგუფი ესტუმრა. შეხვედრაზე სტუმრებმა ისაუბრეს ემიგრანტების პრობლემებზე. აღსანიშნავია, რომ საემიგრაციო სამსახურის ჯგუფში მუშაობს პონტიელი ბერძენი ქალბატონი სოხუმიდან, ანასტასია ეგოროვა. საემიგრაციო ჯგუფის წევრებმა ემიგრანტების კითხვებს დეტალურად უპასუხეს.
შეხვედრაზე ხაზი გაესვა მომავალ ურთიერთთანამშრომლობის და ერთობლივი პროგრამების განხორციელების მნიშვნელობას.

ივნისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიება ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრში „კავკასია“

9 ივნისს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრში „კავკასია“ მეცნიერულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „პრომეთეოსის“ საქმიანობის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ათენის ქართული ინსტიტუტისა და „კავკასია“-ს დამფუძნებელი, ავთანდილ მიქაბერიძე. სიტყვით გამოვიდა და საღამოს გაუძღვა „პრომეთეოსის“ დამფუძნებელი ლაშა ლატარია. დამსწრე საზოგადოებას წარედგინა ვიდეო-პრეზენტაცია და მოხსენება „პრომეთეს ცეცხლი“ - ,,იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის წარსული, აწმყო და მომავალი“. მკვლევარმა გია კვაშილავამ წაიკითხა მოხსენება თემაზე - „პროტო-ქართველების, პროტო-ქართველური ენისა და წარწერების შესახებ“.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა საბერძნეთის რესპუბლიკაში, ლიკა ჯანელიძემ, თანამემამულე სტუდენტ-ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად.

ლიეტუვაში მცხოვრები თანამემამულის მსვლელობა ვილნიუსიდან თბილისამდე

9 ივნისს, ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში პროექტის - „Building Bridges“ ფარგლებში ლიეტუველი ქართველის, ნიკო ამირგულაშვილის მიერ ვილნიუსიდან თბილისამდე მსვლელობის დაწყებასთან დაკავშირებით, ღონისძიება გაიმართა. საქართველოს საელჩოს ეზოში შეკრებილ პროექტის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლიეტუვის რესპუბლიკაში, ლევან ღვაჩლიანმა, ლიეტუვის სეიმის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარემ ჟიგიმანტას პავილიონისმა და პროექტის ინიციატორმა ნიკო ამირგულაშვილმა.

ნიკო ამირგულაშვილის მიერ ინიცირებული პროექტი „Building Bridges“ საქართველოსა და ლიეტუვას შორის არსებული სამაგალითო მეგობრობის და მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ხაზგასასმელად ტარდება. პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის აგვისტოში, ნიკო ამირგულაშვილი ლიეტუვის, პოლონეთის, უკრაინის და შავი ზღვის გავლით ჩავა საქართველოში. ნიკო ამირგულაშვილი ჯამში გაივლის დაახლოებით 2200 კილომეტრს, რასაც სავარაუდოდ 80 დღე დასჭირდება.

გზის პირველი მონაკვეთი, ვილნიუსიდან ტრაკაიმდე მან მრავალრიცხოვან მეგობრებთან და მხარდამჭერებთან ერთად გაიარა. 2019 წლის 20 ივნისს, პოლონეთის ქალაქ ბიალისტოკში ნიკო ამირგულაშვილს პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები დახვდნენ.

ქართული ლიტერატურული საღამო სტამბოლში

9 ივნისს, ქ. სტამბოლში, „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის“ ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრის კობა ლურსმანაშვილის ბიუროში შექმნილი ლიტერატურული სალონის წევრებთან. სტამბოლში ჩასულ ლიტერატურულ სალონს უმასპინძლეს კულტურის ცენტრის დამფუძნებლებმა. ბაღდათის სალონის წარმომადგენლებმა ნიცა ქვლივიძემ და გულთამზე მარგველაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ვეფხისტყაოსნის ხელით გადაწერაში, გაიმართა პოეზიის საღამო, ფორტეპიანოს თანხლებით აჟღერდა ქართული მუსიკა, ბოლოს, კი მასპინძლებისგან სალონი სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით დაჯილდოვდა.

ივნისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ვენაში ქართველ სტუდენტთა ასოციაციის ორგანიზებით ინტელექტუალური შეჯიბრი "რა? სად? როდის?“ გაიმართა

9 ივნისს, ქ. ვენაში "ავსტრიის ქართველ სტუდენტთა ასოციაციის" ორგანიზებით, მეოთხედ გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრი "რა? სად? როდის?“ ინტელექტუალურ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეეძლო ავსტრიაში მცხოვრები ნებისმიერი ასაკის ქართველებისგან დაკომპლექტებულ გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდა მაქსიმუმ 5 მოთამაშე. წელს შეჯიბრში სამმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და აქედან გამომდინარე, ყველა გუნდი საპრიზო ადგილზე გავიდა.

პირველი ადგილი აიღო გუნდმა "Sapere Aude“, რომელიც წელს პირველად იღებდა მონაწილეობას თამაშში, ხოლო მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს გუნდებმა "ბუმერანგი" და "ოთხი კაცი და ერთი ქალი“.

საერთაშორისო კინო-ფორუმი სანქტ-პეტერბურგში

10-12 ივნისს, ქ. სანქტ-პეტერბურგში, ქართველთა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიური ორგანიზაცია „ივერიის“ მხარდაჭერით, საერთაშორისო კინო-ფორუმ „Золотой витязь”-ის საქართველოს წარმომადგენლობის ეგიდით, გაიმართა „ქართული კინოს დღეები“.
კინოცენტრ „როდინაში“ და კინოცენტრ „კინოს სახლში“ მოეწყო იმ ფილმების ჩვენება, რომელმაც ქართულ კინემატოგრაფს მსოფლიო აღიარება მოუტანა. ასევე, ნაჩვენები იყო თანამედროვე რეჟისორთა ნამუშევრები.

კინოცენტრ „როდინას“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ქართული კინოს დღეებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა სანქტ-პეტერბურგის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ სუხენკო, ცნობილი ქართველი მსახიობი ზურაბ ყიფშიძე, საერთაშორისო კინო-ფორუმ „Золотой витязь”-ის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დალი ოქროპირიძე, სხვადასხვა ტელეკომპანიების ჟურნალისტები და პრესის წარმომადგენლები.
პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ „ქართული კინოს დღეების“ ფორმატი ჟურნალისტებსა და საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, შეხვდნენ ხელოვნების იმ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, რომელთა შემოქმედება მსოფლიო კინემატოგრაფის საგანძურშია შესული, იხილონ ნიჭიერ რეჟისორთა ნამუშევრები და ფართოდ გაეცნონ თანამედროვე ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესებს.
„ქართული კინოს დღეები“ საზეიმოდ გახსნა სანქტ-პეტერბურგში არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა - „არაგვი“.

ნიუ-ჯერსის ქართული საკვირაო სკოლა 10 წლის გახდა

10 ივნისს, ქ. ნიუ ჯერსის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ქართულ მართლმადიდებელ სამრევლოსთან არსებული ქართული საკვირაო სკოლა „ლაზარე" 10 წლის გახდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სამრევლოს ინციატივით საზეიმო ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები. ღონისძიების დასასრულს კი, მოეწყო სკოლის აღსაზრდელთა ფოტოების გამოფენა.

ლონდონის აზიის სამეფო საზოგადოებაში წიგნის „ცოცხალი ანბანი“ პრეზენტაცია გაიმართა

11 ივნისს, ლონდონის აზიის სამეფო საზოგადოებაში წიგნის „ცოცხალი ანბანი“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩომ და ლონდონში მცხოვრებმა ცირა კემულარიამ, რომლის ინიციატივით 2018 წელს დაარსდა სპეციალური ფონდი - ქართულიდან ინგლისურად თარგმნილი არამხატვრული ლიტერატურის გამოცემის დასახმარებლად.

წიგნი - „ცოცხალი ანბანი“, რომლის ავტორია ლუიზიანას უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე მიქაბერიძე, მე-18 საუკუნის უნიკალური ქართული ხელნაწერის, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის საფუძველზეა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას ეს ხელნაწერი მე-18 საუკუნის ბოლოს ქართველი კალიგრაფის პეტრე ლარაძის მიერ არის გადაწერილი. ხელნაწერის ორიგინალი მრავალი წელი დაცული იყო მუხრან ბატონის სასახლეში, ვიდრე ის პარიზში არ წაიღეს მე-20 საუკუნის დასაწყისში, სადაც ინგლისელი არტ დილერის ხელში აღმოჩნდა. მისგან ხელნაწერი უილიამ ალენის კოლექციაში მოხვდა, ხოლო 1952 წელს ის სოტბის აუქციონზე ინდიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლილის ბიბლიოთეკამ შეიძინა. ხელნაწერი გასულ წელს ხელახლა იქნა აღმოჩენილი პროფესორის, ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ ლილის ბიბლიოთეკაში სამეცნიერო პროექტზე მუშაობისას. მან საქართველოს ხელოვნების სასახლესა

ცირა კემულარიასთან თანამშრომლობით ხელნაწერში საზედაო ასოებად გამოყენებული ანტროპომორფული და ზოომორფული ფიგურები ცალკე წიგნად გამოსცა, რითაც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ორიგინალი ხელნაწერის ისტორია, ისევე, როგორც ხელი შეუწყო ზოგადად, ქართული ანბანის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

აზიის სამეფო საზოგადოებაში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საზოგადოების დირექტორმა, პროფესორმა ალისონ ოჰთამ, გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა, პროექტის თანაავტორმა და თანაორგანიზატორმა ცირა კემულარიამ და საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორმა პროფესორმა გიორგი კალანდიამ. სტუმრებს, ასევე, საშუალება ჰქონდათ პროფესორ ალექსანდრე მიქაბერიძის ვიდეო მიმართვისთვის მოესმინათ და შეეტყოთ გამოცემის მიღმა არსებული საინტერესო ისტორიის შესახებ.

წიგნის პრეზენტაციის ღონისძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასევე ბრიტანულ-ქართულმა საზოგადოებამ, კომპანიებმა Walnut and Spice, Taste of Georgia და ორგანიზაციამ FaRiG.

ღონისძიება ,,საქართველოს ოკუპირებული რეგიონები და ოკუპაცია’’ რომში

14 ივნისს, ქ. რომში, „უპტერ"-ის უნივერსიტეტში (L'Upter - Università Popolare di Roma) გაიმართა ღონისძიება საქართველოს ოკუპირებული რეგიონებისა და ოკუპაციის შესახებ, რომლის ფარგლებში მოეწყო პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულის იტალიაში, ნენო გაბელიას და რომინა გურაშის წიგნის "A Federal Perspective on the Abkhaz-Georgian conflict. From Intractability to Pacification" - პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო თაკო რობაქიძის ფოტოების გამოფენა „ცხოვრება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ“ და მიერ მეირ შექმნილი მოკლე ვიდეო-რგოლი, რომელიც ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას ასახავს. საღამო კითხა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ავსტრიაში ქართული წიგნების პრეზენტაცია გაიმართა

14 ივნისს, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, გერმანულენოვან სივრცეში წიგნების ყველაზე დიდი სავაჭრო ქსელის - THALIA-ს, ავსტრიული გამომცემლობა „შტოკერისა“ და გამომცემლობა „ვიზერის“ ორგანიზებით მოეწყო სამი ქართული წიგნის: „საქართველო - კულინარიული სიყვარულის ახსნა“, “ქართული ღვინო“ და „ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი 1818“ პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე წიგნები წარადგინეს „საქართველო - კულინარიული სიყვარულის ახსნა“, „ქართული ღვინო“-ს ავტორმა ანა სალდაძემ და მაია ფანჯიკიძემ, რომელმაც წიგნები გერმანულ ენაზე თარგმნა.

პრეზენტაციის დასასრულს, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობისთვის წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ საგანგებოდ მომზადებულ ვიდეორგოლს - „Georgia made by Characters“ და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დამზადებულ საქართველოს საპრომოციო ვიდეოკლიპებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიის კულტურული და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ავსტრიაში მცხოვრები ქართველი ხელოვანები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ახალგაზრდა ქართველი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა ბერლინში

14 ივნისს, ქ. ბერლინში საქართველოს საელჩოს ახალი ინიციატივის ფარგლებში გაიმართა 4 ახალგაზრდა ქართველი ხელოვანის, კონსტანტინე კაკაბაძის, ირაკლი სვანიშვილის, ლევან სვანიშვილის და ერიკ მიქაიას ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „საშვი“.

განსხვავებული ისტორიების მიუხედავად, ოთხივე ხელოვანს არაერთხელ დასჭირვებია საშვი სხვადასხვა ფორმით, რათა მიეღწიათ მიზნებისათვის. ახლა მათი საშვი მათივე ნამუშევრებია, რომლებიც მათ და

დამთვალიერებელს კარს უხსნის ხელოვნების სამყაროში. აღსანიშნავია, რომ ხელოვანებმა საელჩოს სივრცისთვის სპეციალურად შექმნეს ნამუშევრები. ამ გამოფენაზე მოსახვედრად შეიქმნა ერთგვარი ვირტუალური საშვი - მოსაწვევი, რომელიც ნებისმიერ ბერლინელ დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს ქართულ კულტურასა და ქართული ხელოვანების მიერ შექმნილ ნამუშევრებს გაეცნოს.

პოლონეთში ქართულმა დიასპორამ „პოლონიის 21-ე საერთშორისო ეკონომიკურ ფორუმში“ მიიღო მონაწილეობა

15 ივნისს, „ქართულმა დიასპორამ პოლონეთში“ მონაწილეობა მიიღო „პოლონიის 21-ე საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაში“.

კონფერენციაზე საქართველო პოლონელი ინვესტორებისათვის წარადგინა ქართული დიასპორის თავმჯდომარემ, დავით ადამაშვილმა.

კონფერენციაზე დიასპორული ორგანიზაცია, ღონისძიების ორგანიზატორის „ფუნდაცია პოლონიას“ დირექტორის, ზბიგნევ ოლშევსკის უშალო მოწვევით იმყოფებოდა.

შემოქმედებითი შეხვედრა დათო ტურაშვილთან ოდესაში

15 ივნისს ქ. ოდესაში საქართველოს საკონსულოში გაიმართა შემოქმედებითი შეხვედრა ქართველ მწერალთან, დრამატურგთან, სცენარისტთან - დათო ტურაშვილთან, რომელმაც წარმოადგინა თავისი წიგნები „სხვა ამსტერდამი", „ჯინსების თაობა", „ტყეების მეფე" და „ჩაძირული ქალაქი". შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. ოდესაში საქართველოს კონსული თორნიკე ბერეკაშვილი, საკონსულოს თანამშრომლები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და მათი უკრაინელი მეგობრები. შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესაუბრათ დათო ტურაშვილთან ცოცხალი დისკუსიის ფორმატში, რომლის დროსაც ავტორმა მისი შემოქმედების გულშემატკივრების კითხვებს უპასუხა.

16 ივნისს, ქ. ოდესაში საქართველოს კონსული თორნიკე ბერეკაშვილი დათო ტურაშვილთან ერთად "SHABO Wine Culture Center"-ს ეწვია. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ კომპანია "SHABO"-ს და "SHABO Wine Culture Center"-ის შექმნის და თანამედროვე მიღწევების ისტორიას.

ლონდონში ყოველწლიური ღონისძიება – „საზაფხულო სიმღერების ფესტივალი ქეთი მელუასთან ერთად“ გაიმართა

15 ივნისს, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის დამაარსებლის და ხელმძღვანელის, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის ორგანიზებით, ქ. ლონდონში გაიმართა ყოველწლიური ღონისძიება - „საზაფხულო სიმღერების ფესტივალი ქეთი მელუასთან ერთად“, რომელიც წელს მესამედ ჩატარდა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის (ხელმძღვანელი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი), ხელოვნების სტუდიის „გონიერი“ (ხელმძღვანელი თამარ ვეფხვაძე) და ქართული ცეკვების ანსამბლის „ფესვები“ (ხელმძღვანელი შალვა ქავთარაძე) აღსაზრდელები, ასევე, ქართული ხალხური სიმღერების ბრიტანული ანსამბლი „მასპინძელი“.

მონაწილეებმა შეასრულეს როგორც ქეთი მელუას, ისე ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები და ქართული ნაციონალური ცეკვები.

ფესტივალი გახსნა გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თამარ ბერუჩაშვილმა, რომელმაც ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს მადლობა გადაუხადა იმ მრავალწლიანი საქმიანობისათვის, რასაც იგი უანგაროდ ეწევა ბრიტანეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების განათლებისა და მათი სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებისათვის და ასევე, აღნიშნული ფესტივალის დაარსებისა და ორგანიზებისათვის.

თავის გამოსვლაში ელჩმა ისაუბრა ფესტივალის მნიშვნელობაზე და განსაკუთრებული ხაზი გაუსვა პროექტის განხორციელებაში თავად ქეთი მელუას ჩართულობასა და მხარდაჭერას. თამარ ბერუჩაშვილმა, ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა თავად მონაწილე ბავშვებს მათი თავდაუზოგავი შრომისა და წარმატებული გამოსვლისთვის.

შეხვედრა სტამბოლის ქართული სავანის ხელმძღვანელთან

15 ივნისს, საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ და ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ინგა კიკვაძემ შეხვედრა გამართეს სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული ფონდის ხელმძღვანელთან პოლ ზაზაძესთან. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

ქართველმა დიპლომატებმა, ასევე, მოინახულეს ქართული კათოლიკური ეკლესია, ქართველ კათოლიკეთა ფონდი, ბიბლიოთეკა და არქივი.

ოდესის „BORJOMI FEST" 2019



15 ივნისს, ქ. ოდესაში, გამარჯვების პარკში ფესტივალის "BORJOMI FEST" გახსნის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების წინაშე საკონცერტო პროგრამით წარსდგა ოდესაში მოქმედი უკრაინის ხალხური მხატვრული კოლექტივი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „საქართველო", ჯგუფი "მგზავრები" საქართველოდან და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები.

აღნიშნული ღონისძიება იყო რიგით მესამე "BORJOMI FEST"-ი, რომელიც ოდესაში "IDS Borjomi Ukraine"-ის ორგანიზებით ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში, ქ. ოდესის გამარჯვების პარკში საზეიმო ღონისძიების ყველა სტუმარს საშუალება ჰქონდა „ბორჯომის" სამშობლოს უფრო ახლოს გაცნობოდა. "BORJOMI FEST"-ი მოიცავდა ქართულ ბაზრობას, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, სხვადასხვა შეჯიბრებები, ქართული ცეკვის მასტერკლასები და კონცერტი.

ლატვიაში საქართველოს საელჩოსთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ

15 ივნისს, ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებს, თბილისის მერიის და შ.პ.ს "კრეატივ ივენთის" მიერ ორგანიზებულ ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების გამოფენაში - "მე მინდა საქართველო მიცნობდეს" მონაწილეობისათვის სიგელები გადაეცათ.

ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთან საკვირაო სკოლა, ოფიციალურად, 2019 წლის 30 მარტს გაიხსნა. ამჟამად საკვირაო სკოლაში მოსწავლეები ქართულ ენას, ხატვას და მუსიკას ეუფლებიან.

ქართული კულტურის ფესტივალი დნიპროში

15-16 ივნისს, ქ. დნიპროში, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული სულის" და ალექსანდრე პეტროვსკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „სოლიდარობის" ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართა.
ფესტივალზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქ. დონეცკში საქართველოს კონსულმა ირაკლი ადვაძემ, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული სულის" გიორგი ადამაძემ.

ქართული კულტურის ფესტივალზე საქართველოდან მოწვეულნი იყვნენ მომღერალი ოთო ნემსაძე და გიგა პაპასკირი, ასევე ფესტივალზე ქ. დნიპროში არსებულმა ცეკვის ანსამბლებმა „რიონი" და „შაბათობა" შეასრულეს ქართული ეროვნული ცეკვები.
ღონისძიებას დაესწრო, დნიპროს მერის მოადგილემ ალექსანდრე შიკულენკომ, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ოლქის მეუფე სიმეონი, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" გამარჯვებული უკრაინაში სანდრო თოფურია, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და სხვა სტუმრები.

„ანბანის დღესასწაული" ერევნის ქართულ საკვირაო სკოლაში

16 ივნისს, ქ. ერევანში სომხეთის ქართული სათვისტომოს - „ივერია" ორგანიზებით გაიმართა საკვირაო სკოლის საზეიმო დახურვის ღონისძიება. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა სათვისტომოს პრეზიდენტმა სვეტლანა ნამჩევაძემ, ხოლო პროგრამას უძღვებოდნენ სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტი ნინო სპანდერაშვილი და საკვირაო სკოლის დირექტორი ლიანა სამადალაშვილი. ღონისძიების ფარგლებში სათვისტომოსთან არსებული საკვირაო სკოლის უმცროსმა და უფროსი თაობის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართული ლექსები, შეასრულეს ქართული ნაციონალური ცეკვები და სიმღერები. სათვისტომოსთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა „ციცინათელამ" რამდენიმე სიმღერა ქართულ ენაზე შეასრულა. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს საელჩოს კონსული სოზარ კვინჩია.

კავკასიური ხელოვნების ზეიმი სტამბოლში

16 ივნისს, ქ. სტამბოლში, ქართული ხელოვნების სახლის ორგანიზებით გაიმართა კონცერტი, რომელიც თურქეთში მოქმედი ქართული ფოლკლორული ანსამბლ „ქაფდაღის" (ხელმძღვანელი: იბერია ოზქან მელაშვილი) დაარსების 25-ე წლისთავს მიეძღვნა.
კონცერტს დაესწრნენ თურქეთის პარლამენტის წევრები, ქ. სტამბოლის მერიის წარმომადგენლები, თურქეთის ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წევრები.
კონცერტის დასაწყისში, საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის ურთიერთობებში ქართული

დიასპორის როლს. ელჩმა ასევე ყურადღება გაამახვილა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში დიასპორის საკითხების პრიორიტეტულობაზე და აღნიშნა ის ინიციატივები, რაც უწყებას გააჩნია საზღვარგარეთ ქართული დიასპორის და სამშობლოსთან მათი კავშირის გასაძლიერებლად.

იქვე, საქართველოს ელჩმა ანსამბლის ხელმძღვანელს, იბერია ოზქან მელაშვილს მადლობის სიგელი გადასცა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ინგა კიკვაძემ და ანსამბლის ხელმძღვანელს, იბერია ოზქან მელაშვილს სიგელი გადასცა.

თავის მხრივ, ანსამბლ „ქაფდაღის" ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს საელჩოსა და სტამბოლში საქართველოს გენერალურ საკონსულოს გამოჩენილი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ქართული ხალხური ცეკვის საღამო ათენში

16 ივნისს, ქ. ათენის თეატრ „პერუკეში" გაიმართა ,,ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან'' არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის სოლო კონცერტი, რომელშიც მოზარდებთან ერთად მონაწილეობა ცეკვის სტუდიის მოყვარულთა ჯგუფმაც მიიღო.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ათენში მოქმედი სხვადასხვა დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მაყურებლის წინაშე, თოთხმეტი ცეკვით სამი ჯგუფი წარსდგა. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობა მიიღო უკრაინის კულტურული ასოციაცია „ტრებიტას"-თან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა „ჰარმონია".

ღონისძიების დასასრულს, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ხელმძღვანელმა, ხატია ქარსაულიძემ მადლობა გადაუხადა მობრძანებულ სტუმრებს, მშობლებს, წარმატება უსურვა მოცეკვავეებს, ცეკვის პედაგოგები ხატია ძამუკაშვილი და შმაგი ჯიმშერაშვილი კი სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა.

იტალიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

16-18 ივნისს, რომში, იტალიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამდღიანი ღონისძიება გაიმართა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, კინოს ეროვნული ცენტრის და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელშეწყობით, რომის ისტორიულ პარკში „ვილა ბორგეზეში" მდებარე კინოს სახლში „Casa del Cinema", იტალიაში მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლებისათვის, ქართველი კომპოზიტორისა და შემსრულებლის, ინოლა გურგულიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა. კონცერტზე ინოლა გურგულიას შემოქმედება მისმა შვილებმა ია და დათო შუღლიაშვილებმა, თამარ თოლორდავამ და რეზო კიკნაძის ტრიომ (რეზო კიკნაძე, ლაშა საყვარელიძე და ნიკა გაბაძე) წარმოადგინეს ღონისძიებაზე დიასპორის წარმომადგენლებს სიტყვით მიმართეს საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიის რესპუბლიკაში კონსტანტინე სურგულაძემ, საქართველო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ ნინუამ და რომის წმ. ანდრეა პირველწოდებულის სახელობის სამრევლოს წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა იოანე ხელაიამ.

ოფიციალური მიღების შემდეგ, რომელსაც იტალიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ელდარ შენგელაიას ფილმით „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი" ოფიციალურად გაიხსნა ქართული კინოს ფესტივალი. პარალელურად, რომის კინოს სახლში, 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოფენა „იტალიური ნეორეალიზმი ქართულ კინოში", რომელიც მნახველებს, სამი მხატვრული ფილმის „მაგდანას ლურჯას", „სხვისი შვილებისა" და „ჩვენი ეზოს" აფიშებსა და კინო კადრებს სთავაზობდა.

გამოფენაზე გამოტანილი იყო ასევე, ფედერიკო ფელინის თენგიზ აბულაძისადმი გაგზავნილი წერილები და მათი ერთობლივი ფოტო. კინო ფესტივალის ფარგლებში PFA FILMS-მა და სოფო ბერძენიშვილმა მაყურებელს ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ წარუდგინეს. იმავე საღამოს, რომაელი მაყურებელი ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“-ს ჩვენებას დაესწრო, რომელიც თავად რეჟისორმა წარადგინა. ანშლაგით ჩაიარა, ასევე, კიდევ ერთი ქართული კინო შედევრის „ნატვრის ხის“ ჩვენებამ. ფესტივალი, კოტე მიქაბერიძის 1929 წელს გადაღებული მუნჯი კინოს შედევრით - „ჩემი ბებია“ დაიხურა, რომელსაც ცოცხალი აკომპანიმენტი რეზო კიკნაძის ტრიომ გაუკეთა.

ბარსელონის ქართულ საკვირაო სკოლაში სასწავლო წლის დასრულება აღინიშნა

17 ივნისს, ქ. ბარსელონაში, დიასპორული ორგანიზაცია - ქართული კულტურის ცენტრი - „EuroGeorgia – Barcelona''-სთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში პირველი სასწავლო წლის დასრულება აღნიშნეს.

ღონისძიების ფარგლებში, საკვირაო სკოლის აღსაზრდელებისთვის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მაია ონიანის თაოსნობით კალიგრაფიის კონკურსი გაიმართა, სადაც გამოვლინდა გამარჯვებულები. ღონისძიების დასასრულს სკოლის მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ.

მსოფლიოს ბავშვთა ტალანტების ფესტივალი ესპანეთში

17-21 ივნისს, ესპანეთის სამეფოში ქ. ლორეტ დე მარიში გაიმართა მსოფლიოს ბავშვთა ტალანტების კონკურსი-ფესტივალი, რომელშიც ქ. ბარსელონაში არსებულმა ასოციაციამ - ქართული კულტურის ცენტრი „EuroGeorgia–Barcelona''-მ მიიღო მონაწილეობა. ასოციაცია ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას აღნიშნულ ფესტივალში, სადაც მაყურებლის წინაშე წარსდგებიან კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,საქართველო'' (ხელმძღვანელი: ნანა ფურცელაძე) ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ,,თაობა'', (ხელმძღვანელი: იოსებ შინჯიკაშვილი).

ქორეოგარფიულმა ანსამბლმა - ,,საქართველო'' ფესტივალზე ლაურეატობის წოდება და პირველი ადგილი მოიპოვა.

სანქტ-პეტერბურგში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების თემაზე კონფერენცია გაიმართა

17-19 ივნისს, სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვის გორჩაკოვის სახელმწიფო ფონდის სანქტ-პეტერბურგის „ეროვნებათა სახლის“ ბაზაზე, გაიმართა კონფერენცია თემაზე „ქართულ-რუსული დიალოგი“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ და მოხსენებები წაიკითხეს: კოალიციის - „დევნილთა უფლებებისათვის“ - თავმჯდომარემ, ზურაბ ბენდიანიშვილმა; გიორგი მჭედლიშვილმა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა; ანდრო ივანოვმა - მოსკოვის ეროვნულ-კულტურული ავტონომია - ივერიის პრეს-მდივანმა.

კონფერენციაზე განხილულ იქნა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოწვევები, აგრეთვე, თემატურ სადისკუსიო პანელებზე, მონაწილეებმა იმსჯელეს ისეთ თემებზე, როგორიცაა: ეროვნული იდეის ფორმირება საქართველოსა და რუსეთში - კულტურა და რელიგია; დიასპორის როლი ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებაში; რუსეთი და საქართველო გლობალური გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე- ძირითადი ტენდენციები; სამხრეთ კავკასიის რეგიონი - ეკონომიკური პროცესები და პერსპექტივები;

კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია ეწვია „ეროვნულ-კულტურულ ავტონომია - ივერიას“ და შეხვედრა გამართა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

ქართული კულტურის დღეები კაპადოკიაში

17-19 ივნისს, საქართველოს საელჩოსა და დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების (ICSU) ორგანიზებითა და საქართველოს 60-მდე მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, პირველად, კაპადოკიაში ქართული კულტურის დღეები ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასულმა 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ და თურქეთში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა.
19 ივნისს, ქართული კულტურის დღეების დახურვისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო საქართველოს ელჩი გიორგი ჯანჯღავა, რომელმაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხაზი გაუსვა მსგავსი ღონისძიებების ჩატარების მნიშვნელობას საქართველოს სტრატეგიულ და მეგობარ ქვეყანაში, რაც ხელს უწყობს საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებას. ელჩმა ასევე ისაუბრა ქართველი ახალგაზრდების

როლზე ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საქმეში და მადლობა გადაუხადა მათ საქართველოს ღირსეულად წარმოჩენისათვის, ხოლო საქართველოს მუნიციპალიტეტებს კი ღონისძიების მხარდაჭერისათვის. სიტყვით გამოსვლის შემდეგ, საქართველოს ელჩმა და ორგანიზატორებმა ქართული კულტურის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ახალგაზრდებს სერთიფიკატები გადასცეს.
ღონისძიების ფარგლებში ქართველმა ახალგაზრდებმა შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები.

ბენ დანიელის ნამუშევრების გამოფენა იერუსალიმში

18 ივნისს, იერუსალიმის თეატრის სამხატვრო სალონში გაიმართა ქართული წარმოშობის ცნობილი ისრაელელი მოქანდაკის ბენ დანიელის (დანიელაშვილი) ნამუშევართა გამოფენა - „შენთან სიახლოვე მინდა“. შემოქმედებით საღამოს ესწრებოდნენ ისრაელელ მოქანდაკეთა წარმომადგენლები და ავტორის შემოქმედების გულშემატკივრები.
ბენ დანიელი და მისი და, მხატვარი და კერამიკოსი ესთერ დანიელი, 50-იანი წლების ცნობილი ქართველი თეატრალური რეჟისორისა და მთარგმნელის, მოშე დანიელაშვილის შვილები არიან. საქართველოს საელჩომ რამდენიმე თვის წინ თავისი საინფორმაციო საშუალებებით ფართოდ გააშუქა ესთერ დანიელ-მოდის კერამიკულ ნამუშევართა გამოფენა თელ-ავივის ერთ-ერთ სამხატვრო სალონში და ბენ დანიელის ხსენებული გამოფენის ინფორმაციულ მხარდაჭერაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის შეხვედრა ქართულ დიასპორასთან პრაღაში

18 ივნისს, პრაღაში ვიზიტად მყოფმა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით, შეხვედრა გამართა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.
შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. შეხვედრაზე ისაუბრეს იმ ინიციატივებზე, რაც ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ქართული დიასპორის გაძლიერებას და სამშობლოსთან მათი კავშირის უზრუნველყოფას.

ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა

20 ივნისს, ბერლინის მერიის ისტორიულ შენობაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ელგუჯა ხოკრიშვილმა. სიტყვით გამოსვლისას ელჩმა ყურადღება გაამახვილა მჭიდრო ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებზე ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის კონტექსტში და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე. საქართველოს ელჩის გამოსვლის შემდეგ, სტუმრებს გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში, მიხაელ ზიბერტმა მიმართა. მიხაელ ზიბერტმა ისაუბრა გერმანულ-ქართული ურთიერთობების პოზიტიურ დინამიკაზე და განსაკუთრებით აღნიშნა ფრანკფურტის წიგნის გამოფენა-ბაზრობის მნიშვნელობა ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის.

ღონისძიებაზე საქართველოს და გერმანიის ეროვნული ჰიმნები შეასრულა ბერლინის სახელმწიფო ოპერის სოლისტმა გიორგი მჭედლიშვილმა. მუსიკალური ნაწილი გააგრძელა ბენდმა GeoTRAIN, რომელმაც დამსწრე სტუმრებს ქართულ მოტივებზე შექმნილი და მუსიკის სხვადასხვა მიმართულებებით შეჯერებული კომპოზიციები შესთავაზა.
დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის, გერმანიის პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ქართული დიასპორის და სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლები.

ჰააგაში ქართული რესტორანი „სოხუმი“ მადლობის სიგელით დაჯილდოვდა

20 ივნისს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძემ ჰააგაში მდებარე ქართული რესტორნის „სოხუმი“ მფლობელი იზოლდა კვიციანი, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოსა და ქართული სამზარეულოს პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა.
23 ივნისს რესტორანმა - „სოხუმი“ 10 წლის იუბილე აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით რესტორანში საზეიმო მიღება გაიმართა, რომელსაც ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა ქართველ ფეხბურთელებთან მინსკში

21-23 ივნისს, ქ. მინსკში ვიზიტით იმყოფებოდნენ ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელები ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი ასევე ქართველი რეჟისორი გოგი თორაძე და ჟურნალისტი თენგიზ პაჭკორია. ვიზიტის ფარგლებში, საზოგადოებრივი გაერთიანება - ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მამული'' ინიციატივით, 22 ივნისს, ეროვნულ კულტურათა რესპუბლიკურ ცენტრში შედგა ლეგენდარული ფეხბურთელების შეხვედრა დიასპორის წარმომადგენლებთან და დოკუმენტური ფილმის „ფეხბურთის პროფესორის" ჩვენება.

ალექსანდრე ჩივაძისა და ვლადიმერ გუცაევის ვიზიტმა ქართულ დიასპორაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ფეხბურთელებმა დამსწრე საზოგადოებას მიმართეს სიტყვით და ფილმის ჩვენების შემდეგ გაესაუბრნენ სათვისტომოს წევრებს.

ლისაბონში ქალთა რაგბის ევროპის ტურნირი ჩატარდა

22-23 ივნისს, ქ. ლისაბონში ჩატარდა ქალთა რაგბის ევროპის ტურნირი "RUGBY EUROPE WOMEN'S SEVENS TROPHY", რომელშც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქალთა რაგბის ნაკრებმა. თამაშს ესწრებოდნენ და საქართველოს ნაკრებს ქომაგობდნენ ქართული დიასპორული ორგანიზაციის წარმომადგენლები, პორტუგალიაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

ათენში ქართულ-არაბულ-ბერძნული მეგობრობისა და კულტურული დიალოგის ამსახველი ღონისძიებები გაიმართა



22-23 ივნისს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიას" ინიციატივით, გაიმართა ქართულ-არაბულ-ბერძნული მეგობრობისა და კულტურული დიალოგისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს დიდი მეგობრის, იორდანელი Nabil Jumean-ის ხსოვნას ეძღვნება. ღონისძიებამ ორ დღეს გასტანა და პორგრამაში წარმოდგენილი იყო ქართული, არაბული და ბერძნული პოეზიისა და ლიტერატურის, ასევე, ქართული და არაბული ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიული ნიმუშები. ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" გამარჯვებული საბერძნეთის რესპუბლიკაში, ლიკა ჯანელიძე და სტუდენტთა და ახალგაზრდობის ბერძნულ ქართული ასოციაციის თავმჯდომარე ანა ხულუზაური. ღონისძიების დასასრულს დისკუსია გაიმართა.

ნანტი-ზაარბრიუკენი-თბილისის მეგობრობის 40 წლის იუბილე საფრანგეთში

22-23 ივნისს, საფრანგეთში, ქ. ნანტში, ნანტი-ზაარბრიუკენი-თბილისის მეგობრობის მე-40 წლის იუბილე აღინიშნა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საფრანგეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები და თბილისის მერიის დელეგაცია, რომელსაც ვიცე მერი სოფიო ხუნწარია ხელმძღვანელობდა. საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, ნანტის მერიასთან ერთად ასოციაცია ნანტი-თბილისის მიერ დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება და კონცერტი გაიმართა.

ბარსელონაში ქართული კულტურის საღამო გაიმართა

23 ივნისს, ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებული, წმინდა გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ასოციაციის და სულიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ქართული კულტურის საღამო გაიმართა. ღონისძიების პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო ვაჟა ფშაველას მოთხრობების მიხედვით შექმნილი მუსიკალური სპექტაკლი „გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი", ხოლო მეორე ნაწილში კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელები, მეტყველების კულტურისა და სასცენო ხელოვნების შემსწავლელი წრის ბავშვები, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "Georgian Folk", გალობისა და სიმღერის გოგონათა ანსამბლი „ბეთანია", ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი ,,იბერიონი", ქართული ხალხური ცეკვის სტუდია „ქართველო", მუსიკალური სტუდია ,,გამა", ასევე, სოლო ნომრები შეასრულეს სტუდენტებმა ქეთევან გორგოძემ და სერგო მურღულიამ.

პრაღაში ანტისაოკუპაციო გამოფენა გაიმართა

24 ივნისს, ქ. პრაღაში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" გამარჯვებულის ჩეხეთის რესპუბლიკაში, დემეტრე რუხაძის ორგანიზებით ანტისაოკუპაციო გამოფენა გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო სოლიდარობის გამოცხადება თბილისში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და „გაატარე ზაფხული საქართველოში" კამპანიის მხარდაჭერა. გამოფენის პირველი ნაწილი მიეძღვნა 2008 წლის რუსულ ოკუპაციას, ხოლო გამოფენის მეორე ნაწილი მიეძღვნა საქართველოს ღირსშესანიშნაობებს და მის ტურისტულ პოტენციალს. გამოფენის დროს გამოყენებული პოსტერები 2 დღის განმავლობაში განთავსებული იყო ანგლო-ამერიკული უნივერსიტეტის მთავარ ეზოში.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა მარიამ რაქვიაშვილმა. ქართველ სტუმრებთან ერთად, ვიზიტორთა შორის იყვნენ დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, პრაღის ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომლები და უცხოელი ახალგაზრდები.

ოდესის ქართულ კულტურულ ცენტრსა და სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის სახელმწიფო მართვის სამხარეო ინსტიტუტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

25 ივნისს, უკრაინის პრეზიდენტთან არსებულ სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის სახელმწიფო მართვის ოდესის სამხარეო ინსტიტუტში, ქ. ოდესაში საქართველოს საკონსულოს, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ივერია"-სა და უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის სახელმწიფო მართვის ოდესის სამხარეო ინსტიტუტს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ოდესაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ივერიას" ხელმძღვანელმა შორენა გეგეშიძემ, უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის სახელმწიფო მართვის ოდესის სამხარეო ინსტიტუტის დირექტორმა მიკოლა იჟამ და ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის მიზანია უკრაინულ - ქართული თანამშრომლობის გაღრმავება საგანმანათლებლო საქმიანობისა და ინფორმაციის, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების გამართვის გზით.

ხელმოწერის ცერემონიაზე მხარეებმა განიხილეს ბოლო წლებში ერთობლივი საქმიანობის შედეგები, ასევე შემდგომი სამმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები.

ანკარაში მოღვაწე ქართველი პიანისტისა და პედაგოგის შემოქმედებითი საღამო თბილისში

25-26 ივნისს, თბილისს, აღსაზრდელებთან ერთად სტუმრობდა თურქეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი და პიანისტი, თამარ ბარდაველიძე-თორე.

25 ივნისსს თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ჩატარდა მუსიკოლოგ ლალი კაკულიას ლექცია "მუსიკის ჯადოსნური სამყარო". ლექცია განკუთვნილი იყო სკოლის მოსწავლეებისათვის, ძირითად აუდიტორიას კი სწორედ თამარ ბარდაველიძე-თორეს ხელმძღვანელობით თურქეთიდან (ქ. ანკარა) ჩამოსული სკოლის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. დამსწრე აუდიტორიისთვის ნორჩი სტუმრების მიერ შესრულდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

26 ივნისს, გაიმართა ღონისძიება „ქართული საფორტეპიანო მინიატურის საღამო", რომელზეც შედგა თამარ ბარდაველიძე-თორეს და მისი კლასის მოსწავლეთა (თურქეთი, ქ. ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტი) კონცერტი და შეხვედრა ქართველ კომპოზიტორებთან. კონცერტი ჩატარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით.

28 ივნისს, თამარ (თამუნა) ბარდაველიძე-ტორეს აღსაზრდელბი ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახ. მუზეუმს სტუმრებდნენ. სტუმრებმა მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, მუზეუმის როიალზე შეასრულეს ქართველ კომპოზიტპორთა: ვაჟა აზარაშვილის, ელიზბარ ლონდარიძის, კახა ცაბაძის, გოგა შავერზაშვილის, ალექსი მაჭავარიანის საფორტეპიანო ნაწარმოებები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის არქიმანდრიტი დედოფალ ელისაბედ II-ის მიერ გამართულ საზეიმო მიღებას დაესწრო

25 ივნისს, ქ. ლონდონში, საქართველოს საპატრიარქოს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი დოროთე (ბარბაქაძე) მისი აღმატებულება, დედოფალ ელისაბედ II-ის მიერ ბუკინგემის სასახლეში გამართულ მიღებას დაესწრო. აღნიშნული ღონისძიება საზოგადოებრივი გაერთიანებების განმტკიცებაში ადგილობრივი რელიგიური ჯგუფების მიერ შეტანილი წვლილის აღსანიშნავად ჩატარდა.

დუბლინში ქართულ საკვირაო სკოლას სახელმძღვანელოები გადაეცა

26 ივნისს, ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა შეხვედრა გამართა დუბლინში მოქმედი ქართული საგანმანათლებლო ცენტრის - "ლამპარი"/ ხელმძღვანელთან ანელი აწკარუნაშვილთან, რომელსაც გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები.

გიორგი ზურაბაშვილმა ყურადღება გაამახვილა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში დიასპორის საკითხების პრიორიტეტულობაზე და ისაუბრა იმ პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს საზღვარგარეთ ქართული დიასპორის კავშირების გაძლიერებას სამშობლოსთან. მან, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ საკვირაო სკოლის მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობების ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.

გიორგი ზურაბაშვილმა მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს მიმდინარე წლის მაისში, თბილისში გამართულ ფორუმში “ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“ მონაწილეობისათვის.

ანელი აწკარუნაშვილმა, საკვირაო სკოლის სახელით, მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას შესანიშნავი ინიციატივისთვის და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საკვირაო სკოლის მოსწავლეები ახალი სახელმძღვანელოებით შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

ისრაელში „ქართული სახლის“ კედელზე პირველი ქართული საკვირაო სკოლის აბრა გაიხსნა

26 ივნისს, ქ. ლოდის „ქართული სახლის“ კედელზე, საქართველოს ელჩმა ისრაელში პაატა კალანდაძემ და ისრაელში ქართული დიასპორული ორგანიზაცია „მამულის“ ხელმძღვანელმა ირაკლი კილაძემ, სახლის ეზოში შეკრებილი საპატიო საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გახსნეს აბრა, წარწერით: „ამ სახლში, 2018 წლის 6 ოქტომბერს, მისი უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გაიხსნა ისრაელში პირველი ქართული საკვირაო სკოლა „მამული“.

ათენში „შავი ზღვის ქვეყნების ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი“ ჩატარდა

27 ივნისს, ქ. პირეოსის მუნიციპალურ თეატრში გაიმართა „შავი ზღვის ქვეყნების ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა ერის ხუთმა შემოქმედებითმა კოლექტივმა მიიღო. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ქ. პირეოსის მუნიციპალიტეტი და UNESCO-სთან არსებული ცეკვის საერთაშორისო საბჭოს (CID) პირეოსის განყოფილება. ფესტივალი გახსნა ორგანიზაციის ხელმღვანელმა კალიოპი ვარუდაკი-პაპასტათიმ. მან საქართველოს უნიკალურ კულტურაზე ვრცლად ისაუბრა. ფესტივალის შემოქმედებითი ნაწილი გახსნა ათენში მოქმედი განათლებისა და კულტურის ცენტრთან „კავკასია“ არსებული ანსამბლის უფროსმა თაობამ, რომლებმაც 6 ცეკვა - „ლაზურ-აჭარული“, „მთიელ ქალთა“, „ქართული“, „მუხამბაზი“, „ცდო“ და „ქართული ცეკვების პოპური“ შეასრულეს.

ინეგოლში „ჩვენებურების“ მე-19 საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა

28-30 ივნისს, ქ. ინეგოლში, კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის (ხელმძღვანელი: ომერ ფარუქ დემირთაში) ორგანიზებითა და თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ ჩატარდა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან

ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი რატი ბრეგაძე, საქართველოს ელჩი გიორგი ჯანჯღავა და სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ჯამბაზიშვილი.

ფესტივალზე ასოციაციასთან არსებულმა ანსამბლმა „ჩვენებურებმა" და საქართველოდან ჩამოსულმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა შეასრულეს ქართული ტრადიციული ცეკვები და სიმღერები.

ფესტივალს ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, თურქეთის ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წევრები.

ფესტივალის ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა რატი ბრეგაძემ და საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ, რომლებმაც ხაზი გაუსვეს ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობას, როგორც ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციის, ასევე ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარების საქმეში. სიტყვით გამოსვლის შემდეგ, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა და საქართველოს ელჩმა ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის თავმჯდომარეს, ომერ ფარუქ დემირთაშს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

30 ივნისს, ფესტივალის ფარგლებში, ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციაში ჩატარდა წიგნის „ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მალაყმაძე)" (ავტორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი გიორგი ირემაძე და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი) პრეზენტაცია. ნაშრომი ეძღვნება 1936-2003 წლებში თურქეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს – ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს, მთარგმნელს, პოეტსა და პუბლიცისტს ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძეს). აღნიშნული წიგნის პირველ ნაწილში აღწერილია ჰაირი ჰაირიოღლუს ცხოვრების გზა, მისი ურთიერთობა აჰმეთ მელაშვილთან, საქართველოსთან და ქართულ ევროპულ ემიგრაციასთან. მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ჰაირის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და თარგმანები როგორც თურქულიდან ქართულ, ასევე ქართულიდან თურქულ ენაზე.

პარიზში ქართული საღამო გაიმართა

29 ივნისს, ქ. პარიზში, ენების ასოციაციამ ,,Causerie'' ქართული საღამო მოაწყო. საღამოს გამართვის იდეა ამავე ორგანიზაციის ქართველ მასწავლებელს კონსტანტინე არჩაიას ეკუთვნოდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო პარიზის ქართველთა კულტურის კერასთან - ,,ლაზი" არსებულმა ცეკვის ანსამბლმა და ასოციაციასთან - ,,მარანი კიდევ'' არსებულმა პოლიფონიურმა ანსამბლმა ,,მარანი''. საღამოზე, ასევე, წარმოდგენილი იყო პარიზში მცხოვრები სტუდენტის ქეთევან ბარიხაშვილის ქართული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი საინგილოს თემაზე და ასევე მისი ნახატების გამოფენა. საქართველოზე მოკლე მიმოხილვა გააკეთა კონსტანტინე არჩაიამ.

საღამოს ესწრებოდნენ მიგრაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი თესალონიკში

29 ივნისს, ქ. თესალონიკის ამბელოკიპის მერიის დაფინანსებით ჩატარდა მე-3 საერთაშორისო ფესტივალი, ცეკვაში, მუსიკასა და სიმღერაში.

ღონისძიებაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის იყო თესალონიკში მოქმედი ქართული ცეკვის ანსაბლი ,,საქართველო“, რომელიც გრან-პრის მფლობელი გახდა.

ანსამბლმა, ასევე, მიიღო შემოთავაზება, 2020 წლისთვის ბელარუსსა და დიდ ბრიტანეთში დაგეგმილ მსგავს ფესტივალებში მონაწილეობის თაობაზე.

გერმანიის ქართული სათვისტომოს საქალაქთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში

29 ივნისს, გერმანიის ქართული სათვისტომოს რიგით მეცხრე ყოველწლიური საქალაქთაშორისო ტურნირი გაიმართა. წლევანდელ ტურნირს ქალაქი კაიზერსლაუტერნი მასპინძლობდა. მინი-ფეხბურთის ტურნირში სათვისტომოს თასის მოსაპოვებლად სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 11 ქართული გუნდი ასპარეზობდა. გუნდმა “იბერია“ (ცვაიბრუკენი) წელს მესამედ მოიპოვა ჩემპიონობა, რის შედეგადაც გერმანიის ქართული სათვისტომოს გარდამავალი თასი მათი საკუთრება გახდა. მეორე ადგილი მიუნხენის გუნდს „ჯორჯია მიუნხენს“ ერგო, ხოლო მესამე ადგილზე ქალაქ დრეზდენის გუნდი „იმედი“ გავიდა. საუკეთესო ფეხბურთელის წოდება პირველი ადგილის მფლობელი გუნდის ნახევარმცველს, გიორგი მარგიანს, საუკეთესო მეკარის წოდება კი „ჯორჯია მიუნხენის წევრს, ვიტალი მატვიენკოს ერგო. წლის საუკეთესო გულშემატკივარი გახდა პატარა თანამემამულე თეა მაკარიძე.

ღონისძიება #spendyoursummeringeorgia ვენაში

29 ივნისს, ქ. ვენაში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა ავსტრიის რესპუბლიკაში, მარიამ თაყნიაშვილმა, ავსტრიაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან ერთად გამართა შეხვედრა სახელწოდებით „#spendyoursummeringeorgia“. შეხვედრის მიზანი იყო ღონისძიებაზე მისული სტუმრებისათვის საქართველოს გაცნობა. მარიამ თაყნიაშვილმა სტუმრებს მოკლე მიმოხილვით გააცნო საქართველოს ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ქართული მუსიკა, ანბანი და იუნესკოს მიერ დაცული ისტორიული ძეგლები.

პრეზენტაციის დასასრულს დამსწრეებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ახალგაზრდების მიერ მომზადებული ქართული ტრადიციული კერძები და ავსტრიაში წარმოდგენილი კომპანია ღვინოს - ,,Gvino''-ს ქართული ღვინოები. საღამო დასრულდა ავსტრიაში მოღვაწე ქართველი მომღერლის ია ღვინიაშვილის მიერ შესრულებული ქართული სიმღერებით.

კარლსრუეს საკვირაო სკოლამ „ფესვები“ მონაწილეობა მიიღო კარლსრუეს ხალხთა კულტურის დღეებში

29 ივნისს, გერმანიის ქ. კარლსრუეს წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ სამრევლოსთან არსებულმა საკვირაო სკოლამ „ფესვები“, პირიმზე ხელაშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო კარლსრუეს ხალხთა კულტურის დღეებში - „MONDO-ein Fest für alle“.

ღონისძიებაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საკვირაო სკოლამ წარმოადგინა საქართველოს კუთხე, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ პოტენციალს, ქართულ ანბანს და ქართული სამზარეულოს.

ქართული კულტურის დღე ათენში

30 ივნისს, ქ. ათენში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულის საბერძნეთის რეპუბლიკაში, ლიკა ჯანელიძის ინიციატივით და ორგანიზებით ქართული კულტურის დღე მოეწყო. ღონისძიებას საქართველოს ახალგაზრდა ელჩთან ერთად ქართული კულტურის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი, ბერძენი ფილოლოგი იანის ბულია უძღვებოდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა და კულტურულ-შემოქმედებითმა გაერთიანებებმა. ქართული ცეკვები წარმოადგინეს ,,ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან’’ არსებულმა ქართულმა ცეკვის ანსამბლმა და ათენის განათლების და კულტურის ცენტრ ,,კავკასიასთან" არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა ,,კავკასიამ". „ათენის ქართულ სახლთან“ არსებულმა ვახტანგ VI სახელობის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა თეატრალური პერფორმანსის სახით წარმოადგინეს მედეასა და არგონავტების მითიური ამბავი. ლიკა ჯანელიძემ საზოგადოებას პროექტი „რუსთაველი ბერძნულად’’ წარუდგინა, ხოლო ქართველმა მოსწავლეებმა წაიკითხეს ბერძნულ ენაზე თარგმნილი ,,ვეფხისტყაოსნის" სტროფები. ღონისძიებას ესწრებოდა საბერძნეთსა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოსებ ნანობაშვილი.

კულტურისა და ენების ფესტივალი პარიზში

30 ივნისს, პარიზის ქართული კულტურის კელა „ლაზთან“ არსებულმა ცეკვის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო დიდ გალა კონცერტში სახელწოდებით „კულტურისა და ენების ფესტივალი", რომელმაც შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებს ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთი კულტურა, ცეკვების, პოეზიის თუ სიმღერის სახით. "ლაზის" მოცეკვავეებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს საქართველოს კულტურა და ასახელეს საქართველო.

ბარსელონაში ღონისძიება სახელწოდებით „კიდევაც დაიზრდებიან" გაიმართა

30 ივნისს, ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებულ წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართულ საკვირაო სკოლაში, „სულიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის" ორგანიზებით, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „კიდევაც დაიზრდებიან". საღამო სასწავლო წლის შემაჯამებელ ხასიათს ატარებდა. განხილულ იქნა ყველა სასკოლო ღონისძიება, რომელიც ჩატარდა სასწავლო წლის განმავლობაში. ღონისძიების დასასრულს ტრადიციულად, მოსწავლეებმა ჰაერში გაუშვეს ბუშტები, ზედ მიმაგრებული სურვილებით. ღონისძიება ჩატარდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს.

რუსეთში მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლაში ანბანის ზეიმი გაიმართა

7 აპრილს, რუსეთში, ქ. ნორილსკში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში, მოსწავლეთა მიერ ორგანიზებული ანბანის ზეიმი გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მშობლები, საკვირაო სკოლის პედაგოგი და მისი დამფუძნებელი. საკვირაო სკოლის ბავშვებმა ქართულ სიმღერებთან, ცეკვასა და ლექსებთან ერთად, საქართველოს ისტორიის შესახებ მოხსენებებიც გააკეთეს.

ღონისძიების დასასრულს საკვირაო სკოლის დამფუძნებელმა, როსტომ შაპიაშვილმა სიტყვით მიმართა ღონისძიების მონაწილეებს, მიულოცა მათ ანბანის ზეიმი და სკოლის მოსწავლეებს საკვირაო სკოლის სახელით სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

თესალონიკის ქართული თეატრალური დასის სპექტაკლის – „ნახვამდის, მომავალ სიცოცხლემდე!“ პრემიერა

12-16 აპრილს, თესალონიკის ქართულმა თეატრალურმა დასმა, თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ეგიდით, თეატრ „ალექსანდროში“ წარმოადგინა სპექტაკლის პრემიერა, მისტერია-დრამა „ნახვამდის, მომავალ სიცოცხლემდე!“ პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია დასის ხელმძღვანელი მალხაზ რაზმაძე. სპექტაკლი თანამედროვე სოციალური თემატიკითაა გაჯერებული და მასში მონაწილეობდნენ ნანა შარიქაძე, ჯუნა ტყემალაძე, სუზანა კოვლაკოვა, ვიოლეტა კევლიშვილი, გიორგი მუსერიძე, ირაკლი, ხონელიძე და გიორგი დავითაშვილი.

თეატრალური დასი ამჟამად მუშაობს ახალ პროექტზე - მიუზიკლზე, რომლის პრემიერაც საშობაოდ იგეგმება.

ქართული კარატე ყაზახეთში

13-14 აპრილს, ყაზახეთის ასოციაცია კარატე-დო შოტოკანის გენერალური დირექტორის, ემზარი ლიპარტლიანის მიწვევით, ქ. ალმაათაში კარატე-სემინარების ჩასატარებლად ეწვია მსოფლიო შოტოკან კარატეს და საქართველოს ეროვნული კარატე-დო ფედერაციის პრეზიდენტი, მე-8 დანის მფლობელი კახა ბასილია. სემინარები ჩატარდა „კარატე შოტოკნ“ და „კრავ მაგა“-ში (ისრაელში შექმნილი ორთაბრძოლა).

სენსეი (მასწავლებელი) ემზარი ლიპარტელიანის კლუბში, სხვადასხვა ასაკის და ეროვნების სპორტსმენები ვარჯიშობენ, მათ შორის ჩვენი თანამემამულეები.

საქველმოქმედო კონცერტი ვენაში



5 მაისს, ვენის პრაინერის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების ინიციატივითა და სპონსორობით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი. ავსტრიაში მოღვაწე ქართველმა პიანისტმა გიორგი ლაცომ (ლაცაბიძე) და მისმა მეუღლემ ანა ლაცომ შეასრულეს ევროპელი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები ოთხი ხელისთვის და ორი პიანინოსთვის. კონცერტზე მოწვეული იყვნენ ავსტრიის პოლიტიკური და კულტურული წრეების, აგრეთვე ავსტრიის რესპუბლიკასა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. კონცერტის შემდეგ სტუმრებმა დააგემოვნეს ქართული ღვინოები, რომელიც წარმოადგინა კახეთის ტრადიციულმა მეღვინეობამ. კონცერტის შედეგად შემოსული თანხა გადაირიცხა საქართველოს სოლიდარობის ფონდში და მოხმარდება სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობას. საელჩო მადლობას უხდის ყველას საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის.

ბარსელონაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

15 მაისს, ესპანეთის სამეფოში, ქ. ბარსელონაში, ასოციაციის - ქართული კულტურის ცენტრი „ეურო ჯორჯია ბარსელონა" ინიციატივითა და ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღო ქართული კულტურის ცენტრთან არსებულმა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „საქართველო“ და „ქართულმა ხმებმა“ საქართველოდან, რომელიც კულტურის ცენტრის მოწვევით იმყოფებოდა ბარსელონაში.

ფესტივალი „მრავალენოვანი ქალაქი“ თესალონიკში

13-19 მაისს, ქ. თესალონიკის მერიის ორგანიზებითა და იუნესკოს პატრონაჟით, გაიმართა რიგით მე–7, ტრადიციული ყოველწლიური ფესტივალი - „მრავალენოვანი ქალაქი თესალონიკი 2019.“ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თესალონიკში მცხოვრებმა სხვადასხვა ერების წარმომადგენლებმა, მათ შორს ქართულმა დიასპორამ, რომლებმაც წარმოაჩინეს საკუთარი ენა, დამწერლობა და კულტურა.

13 მაისს, ფესტივალის ორგანიზატორების არგირო მუმძიდუსა და ადა ფოტოპულუს მხარდაჭერით, თესალონიკის მერიის საკონცერტო დარბაზში, შედგა ფესტივალის ქართული დელეგაციის წარდგენა. იდეის ავტორმა მარინა საქიძემ (ოსიპიადუ), საზოგადოება „თესალონიკის ქართველობის“ დამფუძნებელმა ზაზა სულამანიძემ და ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა ზაირა გარდავამ აუდიტორიას მადლობა გადაუხადეს ღონისძიებაზე დასწრებისათვის და მიაწოდეს ინფორმაცია ფესტივალში, წლების განმავლობაში, ქართული დელეგაციის ჩართულობის შესახებ.

მთარგმნელმა ლიკა ალექსიძემ ბერძნულ ენაზე წარმოადგინა ისტორიული ჩანახატი ქართული ენის, დამწერლობისა და კულტურის შესახებ, ღონისძიების საპატიო სტუმარმა, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა საბერძნეთის რესპუბლიკაში ლიკა ჯანელიძემ კი „ანბანით მოთხრობილი საქართველო.“ თესალონიკის ქართულ საზოგადოება „საქართველოსთან“ (ხელმძღვანელი ელგუჯა მინაძე) არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველომ“ (ხელმძღვანელი რუსუდან საბაძე, ქორეოგრაფები კახა ლამპარიძე და ია გოჩიტაშვილი) შეასრულა ქართული ეროვნული ცეკვები, ხოლო პატარა მომღერალმა ანულა კულიმ სიმღერები. ასევე, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსულმა გოჩა გოჩაშვილმა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მრჩეველმა პაატა პაპუაშვილმა.

17-19 მაისს, თესალონიკის მერიის ტერიტორიაზე გაიმართა ძირითადი საფესტივალო ღონისძიებები. გამორჩეული ადგილი ეკავა ქართველთა საფესტივალო პავილიონს, სადაც, სხვა მასალასთან ერთად, წარმოდგენილი იყო საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ბროშურები და საქართველოს რუკები. მერიის ფოიეში მოწყობილ საგამოფენო სივრცეში, საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინეს თვითნასწავლმა მხატვარმა ნინო ონიანმა (ქართულ მოტივებზე შექმნილი ნახატები), პატარა მხატვარმა მარიამ გოჩაშვილმა (სადებიუტო გამოფენა) და თინა შავდათუაშვილმა (ნაქარგები). ნათია მაისურაძემ მოაწყო თემატური პრეზენტაცია „ქართული სუფრა და ტრადიციები.“ ასევე, მისი ინიციატივით, სხვადასხვა მშობლიური ენის მქონე ადამიანებმა შეასრულეს სიმღერა „სულიკო.“

ამფითეატრში, ფესტივალის სამივე დღეს დაეთმო სცენა ქართველ მონაწილეებს. ცეკვის ანსამბლებმა „საქართველო“ და „ფესვები“ შეასრულეს ქართული ცეკვები, ანულა კულიმ კი სიმღერები. ფესტივალის სტუმრებმა საქართველოდან, სამოდელო სახლ „Golden Brand“-ის მოდელებმა, ქართული ნაციონალური სამოსი წარადგინეს.

წიგნის "Tbilisi Interiors" პრეზენტაცია ავსტრიაში

16 მაისს, ქ. ვენაში, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და ვენის სადაზღვევო ჯგუფის (WienerVersicherung Gruppe) მხარდაჭერით, წიგნის "Tbilisi Interiors" თანაავტორმა მარიკა რაქვიაშვილმა გამართა პრეზენტაცია, რომელიც 2018 წელს წარდგენილი იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე. საღამოზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ელჩმა დავით დონდუამ და ვენის სადაზღვევო ჯგუფის მმართველი საბჭოს წევრმა პეტერ თირინგმა.

საღამოს ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის, ავსტრიის კულტურული და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ავსტრიაში მცხოვრები ქართველი ხელოვანები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიებების ფარგლებში, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო.

ავსტრიაში მოღვაწე ქართველი პიანისტის კონცერტი ვენაში

16 მაისს, ქ. ვენაში, „Alten Rathaus“-ში გაიმართა ავსტრიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პიანისტის ქეთევან სეფაშვილის, ჩელისტ სანდრო სიდამონიძის და ფლეიტისტ თემურ ხარშილაძის კამერული მუსიკის კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ ავსტრიის კულტურული წრეებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, აგრეთვე ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი დავით დონდუა.

ცეკვის სტუდია „დეისის“ ღია გაკვეთილი სტრასბურგში

18 მაისს, ქ. სტრასბურგში, ცეკვის სტუდია „დეისის“, რომლის (ხელმძღვანელი და ქორეოგრაფის ზურაბ ცუცქირიძე, ღია გაკვეთილი გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდიის აღსაზრდელების მშობლები, სტრასბურგის წმ. ქეთევან წამებულის გუნდის „სადარისის“ წევრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
სტუდიის მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ქართული ცეკვის, რომლებიც 9 თვის განმალობაში შეისწავლეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ბრიუსელში

26 მაისს, ბელგიის სამეფოში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა.
ღონისძიების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა, ნატალი საბანაძემ და დამოუკიდებლობის დღე მიულოცა. საღამო მუსიკალურად კვარტეტმა გააფორმა.
ამავე დღეს, ქ. ბრიუსელში ქალაქის მთავარი სიმბოლო ჩოხით შეიმოსა. კულტურული პროგრამა ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა, კვარტეტმა „მამულმა" და ქალაქ ბრიუსელის მერიის გუნდმა წარადგინეს.

ავსტრიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

26 მაისს, ქ. ვენაში, ავსტრიაში ქართული სათვისტომოს ორგანიზებით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა და ავსტრიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ლიუბლიანაში

28 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქ. ლიუბლიანის მუზეუმში საზეიმო მიღება გამართა, რომელსაც დაესწრო 150-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის: სლოვენიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ქართველი სტუდენტები.

მიღებაზე, ლიუბლიანაში არსებულმა ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კვალი“ ცოცხლად შეასრულა საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკის ჰიმნები, ასევე, ანსამბლის მიერ წარმოდგენილ იქნა რამდენიმე ქართული ფოლკლორული სიმღერა.

მიღების ფარგლებში გაიმართა ფოტო-გამოფენა თემაზე: „9 აპრილიდან ევროკავშირთან ასოცირებამდე და ვიზა-ლიბერალიზაციამდე: საქართველოს 30-წლიანი გზა დამოუკიდებლობისა და ევროპულ ოჯახში დაბრუნებისკენ“, რომელიც მიეძღვნა 1989 წლის 9 აპრილის 30-ე წლისთავსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-10 წლისთავს.

ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრებს წარუდგინეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ვიდეო-რგოლები: “Georgian Honey Promotion”, „Discover Georgia“, „Winter in Georgia“. საზეიმო ღონისძიებას იღებდა სლოვენიური დოკუმენტური ფილმის „Call It Amber Wine“ შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, საქართველოში იმყოფებოდა ქვეყნისა და ქართული ქვევრის ღვინის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღების მიზნით.

პორტუგალიაში დოკუმენტური ფილმის „ჩვენი ფეხბურთის" ჩვენება გაიმართა

30 მაისს, პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ პაჭკორიას დახმარებით, გაიმართა ცნობილი კინორეჟისორის, საქართველოს კინოაკადემიის წევრის გოგი თორაძის დოკუმენტური ფილმის "ჩვენი ფეხბურთის" ჩვენება.

ფილმი გადაღებულია 2012 წელს, ის აღიარებული იქნა 2013 წლის მილანის სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალისა და ტაშკენტის საერთაშორისო ფესტივალის "სპორტი კინოსა და ტელევიზიაში" საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად.

ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ პორტუგალიაში არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციის წარმომადგენლები და პორტუგალიაში მცხოვრები თანამემამულეები, ასევე საელჩოს თანამშრომლები.

აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი ვენაში

30 მაისს, ქ. ვენის „KONZERTHAUS“-ში გაიმართა აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „თბილისის ბიჭუნათა კაპელამ“ სამხატვრო ხელმძღვანელის, გელა ფარჩუკიძის ხელმძღვანელობით. კონცერტს ესწრებოდა 200-მდე სტუმარი, მათ შორის კულტურული წრეების, ქართული დიასპორისა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

ივნისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

26 მაისი საქართველოს საელჩომ პანამაში იზეიმა

30 მაისს, პანამის რესპუბლიკის დედაქალაქში, საქართველოს საელჩოსა და პანამაში საქართველოს საპატიო კონსულის, ერასმო პინილია აპარისიოს ორგანიზებით, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პანამის საგარეო უწყების ხელმძღვანელი პირები, დიპლომატიური კორპუსის და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულების შემდეგ, სტუმრებს სიტყვით მიმართა, 26 მაისის ისტორიულ მნიშვნელობასა და საქართველო-პანამის ორმხრივ, ასევე რეგიონულ ურთიერთობებზე ისაუბრა საქართველოს ელჩმა პანამის რესპუბლიკაში (რეზიდენციით ქ.მეხიკო), ზურაბ ერისთავმა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ასევე გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია.

საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის (IPS) ქართველ სტიპენდიატებს შეხვდა

31 მაისს, საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ელგუჯა ხოკრიშვილი შეხვდა გერმანიის ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის (IPS) სტიპენდიატებს. შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" გამარჯვებულის, ირინე ჩიხლაძის და ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის ქართველი მონაწილეების ორგანიზებით გერმანიის პარლამენტში გაიმართა. გერმანიის საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამას გერმანიის ბუნდესტაგი 1986 წლიდან მსოფლიოს 44 ქვეყანასთან თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს.

პროგრამის ძირითადი მიზანია გერმანიასა და მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს და ბუნდესტაგის სტიპენდიატებს შორის შეხვედრის თემას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის გამოწვევები და პერსპექტივები წარმოადგენდა. ელგუჯა ხოკრიშვილმა სიტყვით გამოსვლისას შეაჯამა აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წელი და ყურადღება გაამახვილა საქართველოს მიერ მიღწეულ წარმატებებზე. გერმანიაში საქართველოს ელჩის განცხადებით ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს და საქართველო წარმატებით ახორციელებს ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დასახულ რეფორმებს. ელჩის განცხადებით წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის შესახებ.

ევროკავშირი ამ პერიოდის მანძილზე საქართველოს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორად ჩამოყალიბდა და ამოქმედების შემდგომ უვიზო მიმოსვლით 300.000-ზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა. სიტყვით გამოსვლისას ელგუჯა ხოკრიშვილმა ისაუბრა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორებზე, კერძოდ, რუსულ ოკუპაციაზე. მცოცავი ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის მეშვეობით რუსეთი ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნის ინტეგრაციას ნატოსა და ევროკავშირში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის განცხადებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამომავლო პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით პარტნიორობის ასოცირებულ წევრებთან მიმართებაში უფრო აქტიურად მოხდეს პრინციპის - „მეტი მეტისთვის" გამოყენება, ცალკეული ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებების მიხედვით.

ივნისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ფინეთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

31 მაისს, ჰელსინკში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღება. ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ელჩმა მალხაზ კაკაბაძემ ისაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაზე, ქართულ-ფინურ ორმხრივ თანამშრომლობაზე, ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციაზე, ასევე საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის, მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს შესახებ. ელჩმა ხაზი გაუსვა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. ელჩმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა, საქართველო განაგრძობს განვითარებას და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. გარდა ამისა, მან დამსწრე საზოგადობას მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ფინეთში განხორციელებულ ვიზიტებთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ფინურ მხარეს მასპინძლობისთვის და ზოგადად, საქართველოს მხარდაჭერისთვის.

საელჩოს უფროსმა მრჩეველმა უჩა გაბეჩავამ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ქართული ღვინის ტრადიციებისა და საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარების შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ფინეთის მთავრობის წარმომადგენლები, ფინელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ფინეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები, ასევე ქართველი სტუდენტები და ფინეთში მცხოვრები ქართველები.

ტექნიკური ხარვეზის გამო, აპრილის და მაისის „დიასპორულ ბიულეტენებ“-ში ვერ გაშუქდა ინფორმაციები დიასპორულ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე. შესაბამის სტატიებს, დაგვიანებით, ივნისის თვის „დიასპორულ ბიულეტენ“-ში ვაშუქებთ.

დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge